ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №109

2015 წლის 25 აგვისტო

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №25 (www.matsne.gov.ge, 27.10.2014 წ., 010250020.35.160.016237) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულებაში“ და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ. ადმინისტრაციის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის დავალებით მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურე „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილების გათვალისწინებით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ლომიძე**